პროლეტარეებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

19 ოქტომბერი სამშაბათი 1971 წელი — ორშ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 241 (15151)

საბჭოთა ქალბატონის მშრომელნო! ხუთწლედის მთავარი ამოცანის—სოციალისტური ეკონომიკის მძლავრი აღმავლობის საფუძველზე ხალხის კეთილდღეობის მნიშვნელოვანი გაუმჯობესების—ნარმატებით შესრულების სანინდარია ჩვენი თავდადებული შრომა!

დიდება შრომის ბონიანად აღამიანებსა და ნარმოების ნოვატორებს!

სკკპ ცენტრალური კომიტეტის საოქტომბრო მოწოდებებიდან

პარტია მოგვიწოდებს

PRAVDA

18 ოქტომბრის მოწოდებიდან

საბჭოთა ხალხი, მთელი პროგრესული კაცობრიობა ემზადებიან დიდი ოქტომბრის დღესასწაულისათვის. და როგორც ყოველთვის, ამ სახელოვანი ზეიმის წინადღეებში ჩვენ ქვეყანაში, მთელ მსოფლიოში გაისმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის აღმფრთოვანებელი მოწოდებანი. დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 54-ე წლისთავის წინ ლენინის პარტია დედამიწის მილიონობით მშრომელთა მიმართავს სიტყვებით, რომლებიც გამსჭვალულია ღრმა რწმენით, რომ გაიმარჯვებს მარქსიზმ-ლენინიზმის იდეები — მარად ცოცხალი ინტერნაციონალური მოძღვრებიის იდეები, რომელიც გახდა იმპერიალიზმის წინააღმდეგ, სოციალიზმისა და კომუნიზმის გამარჯვებისათვის ყველა ქვეყნის მშრომელთა ბრძოლის დროშა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მოწოდებანი გამოხატავენ მთელი საბჭოთა ხალხის ნებას, მის მხურვალე მისწრაფებას შეასრულოს დიდი ლენინის ანდერძი.

პლანეტაზე ძლევამოსილად ვრცელდება იდეები ოქტომბრისა, რომელითაც დაიწყო მსოფლიო ისტორიის ახალი ეპოქა — მსოფლიოს რევოლუციური განახლების. კაპიტალიზმიდან კომუნიზმზე გადასვლის ეპოქა. პარტიის ხელმძღვანელობით საბჭოთა ხალხი სულ ახალ-ახალ წარმატებებს აღწევს კომუნისტურ მშენებლობაში. მტკიცდება და ვითარდება მუშათა კლასისა და კოლმეურნე გლეხობის კავშირი, საბჭოთა საზოგადოების ურღვევი სოციალურ-პოლიტიკური და იდეური ერთიანობა, სსრ კავშირის ხალხთა ძმური მეგობრობა. თანმიმდევრულად და განუხრელად მიიყავს გამარჯვებიდან გამარჯვებამდე ჩვენი ქვეყანა კომუნისტურ პარტიას — მუშათა კლასის, ყველა მშრომელთა მებრძოლ ავანგარდს, კომუნიზმისათვის ბრძოლაში საბჭოთა ხალხის ბელადსა და ორგანიზატორს.

ახლა საბჭოთა ადამიანების ყველა ფიქრი და მისწრაფება მიმართულია პარტიის XXIV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის, ახალი ხუთწლედის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის. ამას წინათ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს განიხილა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1971-1975 წლების ხუთწლიანი გეგმის პროექტი, რომელიც შედგენილია ხუთწლედის წლების, სამინისტროების, უწყებებისა და მოკავშირე რესპუბლიკების მიხედვით, აგრეთვე სსრ კავშირის 1972 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტი. განხილვის დროს განსაკუთრებული ყურადღება მიექცა იმ მთავარი ამოცანის შესრულებას, რომ მნიშვნელოვნად აკმაყოფილოთ ხალხის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონე სოციალისტური წარმოების განვითარების სწრაფი ტემპების, მისი ეფექტიანობის გადიდების, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესისა და შრომის ნაყოფიერების ზრდის დაჩქარების საფუძველზე. პარტიის ეს მითითებანი შეეხებიან ხალხის სისხლხორცეულ ინტერესებს. მილიონობით გული ეხმაურება მოწოდებათა სიტყვებს: „საბჭოთა კავშირის მშრომელნო! უფრო ფართოდ გაშალეთ სოციალისტური შეჯიბრება სკკპ XXIV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის, მეცხრე ხუთწლედის გეგმების წარმატებით შესრულებისათვის!“.

მთელი ქვეყანა საოქტომბრო ვახტზე დგას. სასიხარულო ამბები მოდის ჩვენი თვალწინადენი სამშობლოს ყველა კუთხიდან. მასების პოლიტიკურ და შრომითს აღმავლობას ახასიათებს საყოველთაო-სახალხო სოციალისტური შეჯიბრება. პარტიის წინასწარდახასიათებათა შესრულებისათვის პატრიოტული მოძრაობის ავანგარდში არიან კომუნისტები, მასების აქტიური ორგანიზატორები და აღმზრდელები.

პარტია, რომელიც მთავარ ყურადღებას აქცევს კომუნისტური მშენებლობის ძირეულ პრობლემებს, საოქტომბრო მოწოდებებში მგზნებარედ მიმართავს ჩვენი ქვეყნის მშრომელთა თვითეულ რაზმს. მრეწველობის მუშაკთა მოვალეობაა დაბეჯითებით ამაღლებდნენ წარმოების ტექნიკურ დონესა და ეფექტიანობას, ზრდიდნენ სახალხო მოხმარების საქონლის წარმოებას და აახლებდნენ მის ასორტიმენტს, აუმჯობესებდნენ საქონლის ხარისხს და ამცირებდნენ მის თვითღირებულებას. მშენებლობის მუშაკები მოწოდებული არიან დაიჩქარონ ახალი საწარმოო სიმძლავრეების, საცხოვრებელი სახლების, კომუნალური და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტების საექსპლოატაციოდ გადაცემა. სოფლის მშრომელთა ამოცანაა გაზარდონ ყველა კულტურის მოსავლიანობა და მეცხოველეობის პროდუქტიულობა, მთელი საბჭოთა ხალხის დახმარებით განამტკიცონ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, დაიჩქარონ სასოფლო-სამეურნეო წარმოების ელექტრიფიკაციის, კომპლექსური მექანიზაციისა და ქიმიზაციის, მიწების მელიორაციის ტემპები. პარტია მოუწოდებს საბჭოთა ადამიანებს იბრძოლონ შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულებისათვის, განამტკიცონ დისციპლინა და ორგანიზებულობა, გაუფრთხილდნენ და ამრავლონ საზოგადოებრივი საკუთრება.

მეცხრე ხუთწლედის გეგმების რეალიზაციას, რაც უზრუნველყოფს ჩვენი სოციალისტური სამშობლოს ეკონომიური და თავდაცვითი ძლიერების შემდგომ განმტკიცებას, უდიდესი საერთაშორისო მნიშვნელობა აქვს. საბჭოთა ქვეყანა მშვიდობისა და სოციალიზმის ძალების ბურჯია. ეგებება რა ოქტომბრის 54-ე წლისთავს, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია ძმურად მიესალმება კომუნისტურ და მუშათა პარტიებს — მუშათა კლასისა და ყველა მშრომელთა მებრძოლ მარქსისტულ-ლენინურ ავანგარდს.

მარქსიზმ-ლენინიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის საფუძველზე მტკიცდება მთელი მსოფლიოს კომუნისტების ერთიანობა და შეკავშირება. ვითარდება და მტკიცდება სოციალიზმის მსოფლიო სისტემა — საერთაშორისო მუშათა კლასის ისტორიული მონაპოვარი, ანტიიმპერიალისტური ბრძოლის გადამწყვეტი ძალა. ჩვენი პარტია ძმურად მიესალმება სოციალისტური ქვეყნების ხალხებს და მოუწოდებს განამტკიცონ მეგობრობა და ერთიანობა, კიდევ უფრო განავითარონ ძმური ურთიერთობა. პროლეტარული ინტერნაციონალიზმის დროშის ერთგული ჩვენი პარტია მიესალმება კლასობრივ ძმებს კაპიტალისტურ ქვეყნებში, მხურვალედ მიესალმება ყველა კონტინენტის განთავისუფლებულ და ჩაგრულ ხალხებს, მშრომელებს, რომლებიც იბრძვიან იმპერიალიზმის აგრესიული, პოლიტიკის წინააღმდეგ, მშვიდობისათვის, დემოკრატიისათვის, ეროვნული დამოუკიდებლობისა და სოციალიზმისათვის.

საბჭოთა ადამიანები ძმურად, მხურვალედ მიესალმებიან გმირ ვიეტნამელ ხალხს და მის მებრძოლ ავანგარდს — ვიეტნამის მშრომელთა პარტიას, ლაოსისა და კამბოჯის მამაც პატრიოტებს. მსოფლიოს ყველა ხალხთან ერთად ისინი გულისწყრომით აცხადებენ: „ხელები შორს ინდოჩინეთისაგან!“ ჩვენი ხალხი სოლიდარობას უცხადებს არაბ ხალხთა სამართლიან ბრძოლას და მოითხოვს, რომ ისრაელმა შეწყვიტოს აგრესია ახლო აღმოსავლეთში, გაიყვანოს ჯარები ოკუპირებული არაბული ტერიტორიებიდან. საბჭოთა კავშირი აქტიურად იღწვის ევროპის კონტინენტზე მყარი სტაბილური მშვიდობის დამკვიდრებისათვის, ხალხთა მშვიდობიანი თანამშრომლობისა და უშიშროებისათვის. ჩვენი კომუნისტური პარტია თანმიმდევრულად ამორციელებს ლენინურ საგარეო პოლიტიკას — ხალხთა მშვიდობისა და მეგობრობის პოლიტიკას.

ძალ-ღონით აღსავსე საბჭოთა ადამიანები, რომლებიც მზად არიან ახალი დიდი საქმეებისათვის, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტის გარშემო მჭიდროდ შეკავშირებულნი ეგებებიან ოქტომბრის 54-ე წლისთავს. შშობლიურ პარტიასთან ერთად ისინი ერთსულოვნად აცხადებენ:

— მარქსიზმ-ლენინიზმის დროშით, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით — წინ ლენინური გზით, კომუნიზმის გამარჯვებისაკენ!

შემჭიდროებულ ვადებში, უდანაკარგოდ ავიღოთ ყურძნის მოსავალი

არც ჩვენ ჩამოგრჩებით!

ზესტაფონელ მევენახეთა პასუხი გურჯაანელ მევენახეთა დიდ წერილზე

ძვირფასო მეგობრებო! გულდასმით წავიკითხეთ თქვენი დიდ წერილი, რომლითაც გვაუწყებდით გურჯაანელ მევენახეთა შესანიშნავ გამარჯვებას, გვისურვებდით წარმატებას ჩვენი დაპირების სასახელოდ შესრულების საქმეში.

გვაღფრთოვანებს თქვენი ჭეშმარიტად გმირული შემართება, რომელმაც საშუალება მოგცათ ხანგრძლივი გვალვის მიუხედავად სამშობლოს სიუხვის თასში შეგეტანათ 60 ათას ტონაზე მეტი ყურძენი.

მშობლიური პარტია, კომუნისტთა უმაღლესი ფორუმის გადაწყვეტილებანი დაკვეხმარათ თქვენ და საქართველოს სოფლის მეურნეობის ყველა მშრომელს გეპოვათ სასოფლო-სამეურნეო წარმოების ახალი აღმავლობის გასაღები.

ზუსტაფონელ მევენახეებს საფუძველი გვაქვს განსაკუთრებით გვახარებდეს თქვენი წარმატება, რადგან ჩვენი რაიონების მშრომელებს დიდი ხნის მეგობრობა და სოციალისტური შეჯიბრება აკავშირებთ.

თქვენ შორეულ დაამთავრეთ რთველი, ჩვენთან კი იგი ახლაა გაჩაღებული. მაშასადამე, ყურადღებიერ ჯერ კიდევ წინ არის. ისე როგორც თქვენ. ჩვენც რთულ პირობებში გვიხდებოდა მუშაობა. გაზაფხულის ბარაბმა ნაღვლებმა, შემდეგ კი ხანგრძლივმა გვალვამ ვაში დაღუპვის პირას მიიყვანა. მაგრამ სწორედ აქ იჩინა თავი მევენახეთა შეუპოვრობამ ბუნების მკაცრ პირობებთან ბრძოლაში. ნიადაგის სისტემატურმა დამუშავებამ, მაგნებელდაავადებათა საწინააღმდეგო ღონისძიებების დროულად განხორციელებამ უკან დაახვევინა სტიქიას. გადავარჩინეთ და სრულ სიმწიფემდე მივიყვანეთ ყურძენი.

შემოდგომა წელიწადის ისეთი დროა, როცა არა მარტო წიწილებს, არამედ ცენტნერებსა და ტონებსაც ითვლიან. სავსებით სამართლიანად აღნიშნავთ თქვენ დიდ წერილში, რომ ყურძნის დამზადების რესპუბლიკური გეგმის შესრულება მოითხოვს ყველამ — დიდმა და პატარა რაიონმა, მეურნეობამ, თვითეულმა მევენახემ შესასრულოს დავალება. ეს სრული ჭეშმარიტებაა. ამიტომ მტკიცედ გვაქვს გადაწყვეტილი ჩრდილი არ მივაყენოთ თქვენს შრომითს გმირობას, რაც შეიძლება მეტი წვლილი შევიტანოთ ქართველ მევენახეთა საერთო წარმატებაში, ყურძნის სიუხვით აღვსებამნთ მეცხრე ხუთწლედის პირველი წელი.

გეგმით წელს სახელმწიფოს უნდა მივაყიდოთ 25.500, ხოლო ვალდებულებით — 27.500 ტონა ყურძენი. მაგრამ, დაგვსწავლეთ რა ჩვენს შესაძლებლობებს, იმ დასკვნამდე მივედით, რომ შეგვიძლია სამშობლოს მივცეთ 29 ათასი ტონა ყურძენი. სოფლის მშრომელთა ერთსულოვანი გადაწყვეტილებაა დვინის ქარხნებში მიიტანონ საკარმიდამო ნაკვეთებზე მოყვანილი ყურძნის 80-90 პროცენტი.

ზესტაფონელ მევენახეებს სიტყვის გატეხა არა სჩვევიათ. პარტიულ და კომკავშირულ ორგანიზაციებს, სამეურნეო ორგანოებს, ყველა მშრომელს ახლა ერთი ფიქრი ამოძრავებს: მიცემული სიტყვა საქმედ აქციონ. ადამიანთა ენთუსიაზმს სასწაულები შეუძლია მოახდინოს. თუ ავამაღლებთ მათს დაინტერესებას შრომის შედეგებით.

ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ თქვენც ასევე სისტარულით შეხვდებით ჩვენს მომავალ გამარჯვებას, რომელის გამოჭედვასაც შევუდექით, საჭიროების შემთხვევაში ხელს გამოგვიწვდით, გაგვიზიარებთ თქვენი მუშაობის გამოცდილებას. ეს იქნება ჩვენი მნიშვნელოვანი წვლილი პარტიის XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელების საქმეში.

ზესტაფონის რაიონის მევენახეთა დავალებით:

შ. ვერულაშვილი — საქართველოს კპ ზესტაფონის რაიონის პირველი მდივანი, **მ. სამხარაძე** — ზესტაფონის მშრომელთა დეპუტატების რაიასბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე, **ს. გოგოლეშიანი** — სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსი, **გ. გრეგორაძე** — სოფელ მეორე ხვირის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, **ვ. ზარნაძე** — არგვეთის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი, **ვ. სარალიძე** — ალავერდის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, **პ. ქვანტარიშვილი** — ალავერდის კოლმეურნეობის მევენახე, სოციალისტური შრომის გმირი, **კ. აბესაძე** — სოფელ ქვ. საზანოს რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, **ალ. გოგრაძე** — სოფელ ალვანის კოლმეურნეობის ბრიგადირი.

გჯერდეთ, არ გაგანბილებთ!

თელავის რაიონის სოფელ სანაორის კოლმეურნეობა „პირველი მაისის“ თავმჯდომარეს

ალ. მარგალიტაშვილს

ძვირფასო მეგობარო! თქვენმა სითბოთი აღსავსე წერილმა დიდი სიამოვნება განმაცდევინა. „კომუნისტის“ ფურცლებზე გვწერდით, რომ წელს სახელმწიფოს მიაყიდეთ 1.600 ტონა ყურძენი გეგმით გათვალისწინებული 1.500 ტონის ნაცვლად. გიოლოცავთ ამ შესანიშნავ წარმატებას და გისურვებთ შემდგომ მიღწევებს სოფლის მეურნეობის განვითარებაში.

ჩვენ სავსებით ვეზიარებთ თქვენს აზრს იმის შესახებ, რომ მიმდინარე წლის ამინდის პირობები ძალიან მძიმე იყო მევენახეებისათვის, მაგრამ დაბა მაიაკოვსკის კოლმეურნეებმა, ისევე როგორც თქვენი საზოგადოებრივი მეურნეობის წევრებმა, ყველაფერი იღონეს ამ ძნელ პირობებში ყურძნის მოსავლიანობის გასადიდებლად.

კოლმეურნეობაში გაჩაღებულია შრომა ყურძნის კრეფის შემჭიდროებულ ვადებში დასამთავრებლად. ვალდებულება ვიკისრეთ მოვკრიფოთ და სახელმწიფოს მივყიდოთ 460 ტონა ყურძენი გეგმით გათვალისწინებული 420 ტონის ნაცვლად.

გჯერდეთ, რომ ჩვენი სიტყვა და საქმე ერთი იქნება!

ა. კიკნაველიძე.

დაბა მაიაკოვსკის კოლმეურნეობის თავმჯდომარე.

ბარაქიანი რთველი

საპასუხო წერილი წითელწყაროს რაიონის სოფელ გამარჯვების კოლმეურნეებს

დიდი ყურადღებით გავეცანით თქვენი კოლმეურნეობის მევენახე ბრიგადირის ვახტანგ ფიროსმანაშვილის წერილს. მეცაცრი გვალვების მიუხედავად ყურძნის უსვი მოსავალი მიგიღიათ. დაგელოცოთ მარჯვენა!

ჩვენ რთველს ეს არის შევუდექით, მაგრამ იმედი გვაქვს გულნაკლები არ დავრჩებით. ბეჯითად შრომამ გამარჯვება იცის და ვფიქრობთ, იგი იმედს გაგვამართლებს კიდეც.

თუზის კოლმეურნეობას 60 ჰექტარი ვენახი აქვს. ვაზისათვის მოვლა-პატრონობა არ დაგვიკლია. საშუალოდ ჰექტარზე 60 ცენტნერი ყურძენი (გეგმით გათვალისწინებული 52-ის ნაცვლად) — ასეთია ჩვენი ვალდებულება. ჩემი ბრიგადის წევრთა მტკიცე გადაწყვეტილებაა ათი ჰექტარი ვენახის საშუალოდ ჰექტარზე 90 ცენტნერი მოსავალი მიიღოს და მთლიანად 900 ცენტნერი ყურძენი აწარმოოს.

ბრიგადის მოწინავე მევენახეები ალიოშა, მამია, ლევანტი, ჯემალ ცინაძეები, პეტრე რიჟამაძე, შოთა მოდებაძე და სხვები საშუალოდ ჰექტარზე 100-120 ცენტნერი ყურძნის მიღებას ვარაუდობენ.

ბარაქიანი რთველი გვეწვია. ყველაფერს გავაკეთებთ საყვარელი სამშობლოს სასახელოდ.

დ. რიჟამაძე.

თერჯოლის რაიონის სოფელ თუზის აკ. წერეთლის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

ზესტაფონის რაიონის სოფელ ალავერდის კოლმეურნეობის მოწინავე მევენახეები, სოციალისტური შრომის გმირი პ. ქვანტრიშვილი (მარცხნივ) და ა. ქვანტრიშვილი. ფოტო ს. კილაძისა.

ა. ნ. კოსიგინი კანადაში გაემგზავრა

კანადის პრემიერ-მინისტრის პ. ე. ტრიუდოს მიწვევით 17 ოქტომბერს მოსკოვიდან კანადაში ოფიციალური ვიზიტით გაემგზავრა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინი. მასთან ერთად გაემგზავრნენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე გ. დ. ჯავახიშვილი, სსრ კავშირის საზღვაო ფლოტის მინისტრი ტ. ბ. გუშენკო, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ს. ა. კოზირევი, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე მ. ი. მისნიკი.

ნინოვოს აეროდრომზე გამგზავრი ა. ნ. კოსიგინი გაიცილეს ამხანაგებმა დ. ს. პოლიანსკიმ, ი. ვ. ანდროპოვმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეებმა ნ. კ. ბაიბაკოვმა, ბ. ე. დიმიჩცმა, მ. ტ. ეორემოვმა, ვ. ა. კირილინმა, მ. ა. ლესეჩკომ, ვ. ნ. ნოვიკოვმა, ლ. ვ. სმირნოვმა, ნ. ს. ტახონოვმა, სსრ კავშირის მინისტრებმა ა. ა. გრომეკომ, ა. ა. ბერეჩკომ, ვ. ვ. ელიუტინმა, ნ. ს. პატოლიჩევმა, ნ. ა. შჩოლოკოვმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს საგარეო ეკონომიური ურთიერთობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარემ ს. ა. სკაჩკოვმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველმა მ. ს. სმირტიუკოვმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ დ. მ. გვიშიანმა, სხვა ოფიციალურმა პირებმა.

გამცილებელთა შორის იყო ჩანადის დროებითი საქმეთა რწმუნებული სსრ კავშირში ჯ. ტროტიე. (საკდესი).

ა. ნ. კოსიგინი კანადაში ჩავიდა

ოტავა, 18 ოქტომბერი. (საკდესის სპეც. კორ.). კანადის პრემიერ-მინისტრის პ. ე. ტრიუდოს მოწვევით ოტავაში ოფიციალური ვიზიტით ჩამოვიდა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინი. მასთან ერთად ჩამოვიდნენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე გ. დ. ჯავახიშვილი, სსრ კავშირის საზღვაო ფლოტის მინისტრი ტ. ბ. გუშენკო, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ს. ა. კოზირევი, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე მ. ი. მისნიკი.

საბჭოთა კავშირისა და კანადის სახელმწიფოთა ალმებით მორთულ ოტავის აპლენდისის აეროპორტში ა. ნ. კოსიგინს შეხვდნენ კანადის პრემიერ-მინისტრი პიერ ელიოტ ტრიუდო, საგარეო საქმეთა მინისტრი მიტჩელ შარპი, მთავრობის ლიდერი სენატში პოლ მარტინი, ტრანსპორტის მინისტრი დონალდ ჯეიმისონი, საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე ედგარ რიჩი. საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ჯონ პოლსტედი, კანადის ელჩი სსრ კავშირში რობერტ ა. დ. ფორდი და სხვა ოფიციალური პირნი.

შეხვედრთა შორის იყვნენ სსრ კავშირის ელჩი კანადაში ბ. ბ. მიროშნიჩენკო, კანადაში აკრედიტებული დიპლომატიურ წარმომადგენლობათა თანამოსამართლენი, კანადელი და უცხოელი ჟურნალისტები.

ოქ. 42, თვითმფრინავის ტრაპთან პ. ე. ტრიუდო ალოთბილად მიესალმა ა. ნ. კოსიგინსა და მის თანმხლებ პირებს. გაისმა საბჭოთა კავშირისა და კანადის სახელმწიფო ჰიმნები. ა. ნ. კოსიგინმა პ. ე. ტრიუდოსთან ერთად ჩამოუარა საპატიო ყარაულის მწყობრს.

ბრაბანტი

ოქტომბერი

**ბ. ბ. ბ.

კარტიული ცხოვრება

მოკრძალებული კამათი

იყო დრო, და არც ისე შორეული, როცა ჭიათურმშენის სამმართველოს კოლექტივი დავალებებს ბარულებდა. მაგრამ მშენებლებმა ცუდად დაიწყეს მეცხრე ხუთწლედის პირველი წელი. სამარცხვინოა, რომ სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა შესრულება 80 პროცენტს არ აღემატება. მართალია, ბრიგადები, რომლებსაც გ. ჭობრნელიძე, გ. ქურციკიძე, გ. გაბრიეთიძე, ბ. ცერცვაძე თავკაცობენ, გეგმებს ასრულებენ, მაგრამ თითქმის ყველა სამშენებლო უბანი ჩამორჩება.

და ეს სამშართველოს კომუნისტები შეიკრიბნენ საანგარიშოსაარჩევნო კრებაზე, სადაც საფუძვლიანი ანალიზი უნდა გაეკეთებინათ მთელი თავიანთი საქმიანობისთვის, ორგანიზატორული და პარტიულ-პოლიტიკური მუშაობისათვის, გაბედულად ემხილებინათ ნაკლოვანებები, დაესახათ აღმავლობის გზები.

პარტბიუროს ანგარიშით, რომელიც ერთ წელზე მეტს მოიცავდა, გამოვიდა პარტბიუროს მდივნის მოადგილე ს. ხომასურიძე. მოხსენებაში აღნიშნული იყო, რომ საანგარიშო პერიოდში პარტიულმა კრებამ ოთხჯერ განიხილა ჩამორჩენის საკითხი. დაისაჯნენ სამუშაოთა მწარმოებლები. დაისახა ღონისძიებებიც. მაგრამ აქედან სათანადო დასკვნები ვერ გაიკეთეს და საქმეს გაუჭობესება არც დასტყობია.

მშენებლობათა ჩამორჩენის ძირითად მიზეზად მომხსენებელმა დასახელა ქვემოიჯარადრე ორგანიზაციების ცუდი მუშაობა. ახალი ტექნიკის დანერგვა-მოვლისათვის სუსტი ზრუნვა, სამშენებლო მასალებისა და ტრანსპორტის ნაკლებობა. შრომისა და საწარმოო დისციპლინის დაბალი დონე. განა შეიძლება გულდამშვიდება, როცა სამმართველომ რვა თვეში 15.200 კუბმეტრი ბეტონის ნაცვლად მხოლოდ 8.008 კუბმეტრი მიიღო! ახლა დანაკლისით მიიღეს აგური, ცემენტის ხსნარი. არმატურა.

განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ გასულ წელთან შედარებით ათჯერ გაიზარდა სამუშაოს მიმტოვებელთა რაოდენობა. სამუშაოთა მწარმოებლები, ოსტატები, ბრიგადირები, პარტიულ-პროფკავშირული ორგანიზაციები სუსტად მუშაობენ ადამიანებთან, არ აღრიცხავენ შრომის დისციპლინის დამრღვევებს, არ გადასცემენ მათ ამხანაგურ სასამართლოს, ვერ უქმნიან მშენებლებს ნორმალურ საყოფაცხოვრებო პირობებს.

თუ მომხსენებელს დავუჯერებთ, სამმართველოში საუცხოოდ იყო დაყენებული პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობა. მან თქვა, რომ პარტიული ორგანიზაციის პირველი რიგის ამოცანად იყო და კვლავ რჩება მასების აღზრდა, ადამიანებში თვითშეგნების შეტანა. მაგრამ საქმეს რომ ეცნობი, ვერ რწმუნდები ამ ორგანიზაციის კარგ მუშაობაში. შრომის დისციპლინის დამრღვევთა რაოდენობა, სამწუხაროდ, გაზარდა.

კრებაზე თვითკმაყოფილებით აღინიშნა სამმართველოს პარტიულ და სამეურნეო ორგანიზაციებს რაციონალიზაცია-გამომგონებლობის დარგში მნიშვნელოვანი მუშაობა აქვთ გაწეული. მაგრამ ფაქტები მეტყველებენ, რომ წელს შემოსულია მხოლოდ ხუთი წინადადება და დაინერგა სამი. ეს არის და ეს.

სამართლიანად გაკაკრიტიკეს პარტბიუროო ინიციატივაც. რომ აქ სუსტად ზრუნავენ ახალგაზრდა კადრებზე. მშენებელმა მუშებმა კ. კაპანაძემ, უ. მეგრელიშვილმა, ნ. მიროტაძემ, ც. აბრამიშვილმა და ს. ხომასურიძემ წარმოებისაგან მოუწყვეტლივ მიიღეს უმაღლესი განათლება. ისინი ახლა ინჟინრის დიპლომებით არიან. მაგრამ მათ დაწინაურებაზე აქ არავის უფიქრია. კვლავ ყველანი რიგით მშენებლებად დარჩნენ. პროფტექნიკური სასწავლებლიდან ჭიათურმშენის სამმართველოს 29 კურსდამთავრებული მელისავი, კალატოზი და მღებავი გაეგზავნა. მათ ვერ შეუქმნეს შრომისა და ცხოვრების ნორმალური პირობები. უმრავლესობა გაიფანტა. სამმართველოს მხოლოდ ხუთი ახალგაზრდა შემორჩა.

თავის სიტყვაში კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელმა, სოციალისტური შრომის გმირმა გრ. ჭობრნელიძემ თქვა, რა კარგად გამოჩნდებოდა ჩვენი მუშობა, ამ პარტიული კრებაზე სამშენებლო გეგმების შესრულებით რომ მოვსულიყავითო. სამმართველოს ჩამორჩენის ერთ-ერთი მიზეზი კვალიფიციური მუშების დეფადობა, შრომის დისციპლინის სისუსტეა. გამოყენებული როდია მუშახელის შენარჩუნების არსებული შესაძლებლობანი.

— პურკომბინატის მშენებლობას აფერხებს ტექნიკური დოკუმენტაციის უქონლობა. დამკვეთი აგვიანებს პროექტების მოწოდებას. ვერც ქვემოიჯარადრე ორგანიზაციები ასრულებენ ვალდებულებებს. — განაცხადა ახალგაზრდა ინჟინერმა, სამუშაოთა მწარმოებელმა ვ. გაფრინდაშვილმა.

სამმართველოს მთავარმა ინჟინერმა გ. კაპანაძემ გულახდილად განაცხადა, შრომის ორგანიზაცია არ გვივარგა. მონდომებით ვერ ვმუშაობთ, მასალებისა და ტრანსპორტის დეფიცს ვუნდებით და ძირითადი სამუშაო გვერდზე გვრჩება. მანვე თქვა, რომ სერიოზული შეცდომებია მშენებლობის დაგეგმვაში. მთავარი ინჟინერის ამ სიტყვებში არის სიმართლე, მაგრამ შეცდომების გასწორებაზე ხომ სამმართველოს და მშენებლობის ტრესტის ხელმძღვანელებმა უნდა იფიქრონ.

კამათში გამოვიდნენ აგრეთვე კომუნისტები ლ. ნეფარიძე, თ. ცუნაშვილი, გ. ვეფხვიანი, ა. მოდებაძე და სხვები. ისინი ლაპარაკობდნენ მშენებლობის, პარტიულ-პოლიტიკური და იდეოლოგიური მუშაობის მტკივნეულ საკითხებზე, მაგრამ მათს გამოსვლებში იგრძნობოდა მოკრძალებული კილო, არ იყო ნაკლოვანებათა გაბედული, პირდაპირი, პრინციპული კრიტიკა. მკრთალად ილაპარაკეს ან თითქმის არაფერ თქვეს სოციალისტური შეჯიბრებისა და მოწინავეთა გამოცდილების დანერგვისადმი პარტიულ ხელმძღვანელობაზე, გაჭიანურებულ მშენებლობებსა (ლრუდოსა და ფაცანარას წყალსადენები, დარკვეთის ქვეშის გამამდიდრებელი ფაბრიკა) და ხარისხზე. ყაირათიანობასა და ზოგიერთ კომუნისტთა კერძოშესაკუთრულ ტენდენციებზე.

კრებამ აირჩია პარტბიუროს ახალი შემადგენლობა. და მომავალი მუშაობისათვის დასახა სათანადო ღონისძიებანი.

პ. ᲨᲘᲝᲙᲐᲫᲔ.

„კომუნისტის“ საკ. კორ.

უფროსი ოსტატი

ᲐᲮᲚᲔ ᲒᲐᲘᲨᲣᲚᲐ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲨᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲐ

„რუბრ უნდა ᲨᲘᲛᲣᲨᲐᲝᲗ“. ეს სამახსოვრო წესები, რომელნიც თავის დროზე გამოკრული იყო სახალხო კომისართა საბჭოში, ვ. ი. ლენინის მისაღებ ოთახში, ახლა ქუთაისის ტყავ-ფეხსაცმლის კომბინატის შესასვლელში, იზოში, საამქროებში, ერთი სიტყვით ყველა თვალსაჩინო ადგილზეა გამოკრული.

იციის კომბინატის საძირის საგამომგავითო საამქროს ოსტატმა ალექსანდრე კოხრიიძემ ეს წესები, იციის როგორც უნდა იმუშაოს. იგი ხომ გამამაჯგუფული გამოიყენა საუკეთესო ოსტატის გამოსაფინანსებლად მიმდინარე წელს გამოცდილებულ რისპუბლიკურ კონკურსში. მაგრამ ოსტატმა ისიც იცის, რომ ჯერ კიდევ ყველამ როდი ისწავლა მუშაობა ისე, რომ იგი მაღალნაყოფიერი და მოდგმული ცხოვრებისეული სკოლა იყოს.

ცხოვრებისეული სკოლა... დიახ, ოორიოს ოსტატი და ᲐᲛᲐᲛᲐᲠᲘᲡ 111 მუშაც სწორედ აქ, სამუშაოს ატარიან თავისი ცხოვრების საუკეთესო ნაწილს. ამიტომაც შრომა ადვილი და მაღალნაყოფიერი რომ იყოს, ყველა ზედმიწევნით უნდა ფლობდეს თავის პროფესიას უმამად არ კარგავდეს სამუშაო დღის არც ერთ წუთს, გადამეტებით ასრულებდეს ᲐᲛᲐᲛᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ნორმებს და შეჯიბრებებით ნაკისრ ვალდებულებებს.

სწორედ ასე ეკიდება შრომას ამ საამქროს მუშათა უმეტესობა. მაგრამ ეშველიათად მაინც ხდება ხოლმე, რომ ზოგიერთები ᲩᲐᲛᲝᲩᲠᲩᲔᲑᲘᲐᲗ ᲩᲐᲛᲝᲩᲠᲩᲔᲑᲘᲡ ᲠᲘᲪᲮᲛᲘ.

საძირის ამჭრელები მ. კუბუსიაძე და ვ. ზიზიშვილი სამუშაოს დამთავრების შემდეგ გაუწმენდავად, უსუფთაოდ ტოვებდნენ მანქანებს, ყოველთვის უწესრიგოდ ᲐᲭᲠᲘᲚᲘ ᲛᲘᲦᲠᲘᲚᲘ ᲛᲝᲜᲐᲪᲘᲚᲘ ნახმარი ᲛᲭᲠᲔᲚᲘ ᲪᲔᲚᲘ.

ᲘᲬᲘᲜᲝᲓᲐ ᲛᲝᲠᲩᲘᲚᲘ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝᲡ ᲓᲦᲔ, და ᲜᲐᲬᲘᲜᲔᲑᲘᲡ ᲮᲔᲚᲐᲠᲚᲐ ᲒᲐᲛᲐᲠᲗᲔᲑᲐ, ᲜᲐᲮᲛᲐᲠᲘ ᲡᲐᲭᲠᲘᲡᲘᲡᲘᲡ ᲫᲘᲠᲘᲗᲐᲓᲘ ᲓᲐ ᲐᲮᲚᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲡᲐᲪᲐᲚᲔᲑᲐᲓ ᲛᲘᲭᲔᲚᲘᲜᲣᲠᲘ ᲬᲔᲚᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲐᲓᲝᲚ ᲠᲘᲡᲐᲛᲝᲜᲐᲪᲘᲚᲘ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝᲗᲐ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲡᲘᲐᲠᲣᲚᲘ, ᲘᲖᲝᲨᲘ, ᲡᲐᲐᲛᲐᲠᲘᲜᲔᲑᲨᲘ, ᲔᲠᲗᲘ ᲢᲧᲐᲕᲘᲗ ᲓᲐᲬᲔᲠᲘᲚᲘ.

ᲘᲪᲘᲡ ᲙᲝᲛᲑᲘᲜᲐᲢᲘᲡ ᲡᲐᲫᲘᲠᲘᲡ ᲡᲐᲒᲐᲛᲝᲛᲒᲐᲕᲘᲗᲝ ᲝᲡᲢᲐᲢᲘ ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲙᲝᲮᲠᲘᲘᲫᲔ ᲛᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲨᲘ. ᲘᲪᲘᲡ ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲣᲜᲓᲐ ᲘᲛᲣᲨᲐᲝᲡ. ᲘᲪᲘᲡ ᲠᲝᲛ ᲮᲛᲐᲠᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲐ ᲐᲠᲘᲡ

ᲘᲠᲚᲐᲜᲓᲘᲔᲚ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲗᲐ ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲐ

ᲑᲔᲚᲤᲐᲡᲢᲘ, 18 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲘ. (ᲡᲐᲯᲔᲚᲘᲡᲘ). აქ მუშაობა დაამთავრა ირლანდიის კომპარტიის XV ყრილობამ, რომელიც დიდმნიშვნელოვანი ეტაპია ჩრდილოეთ ირლანდიაში ინგლისის კოლონიური ბატონობისა და მის სამხრეთ ნაწილში ინგლისის კაპიტალის მოძალების წინააღმდეგ ირლანდიელ მშრომელთა ბრძოლის გზაზე.

ყრილობამ დასახა მოქმედების პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს ქვეყნის მთელი დემოკრატიული ძალების ერთიანობის მიღწევას საერთო მტრის — ბრიტანეთის იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში, ტერორისა და ძალმომრეობის წინააღმდეგ ბრძოლაში, რომლებსაც ჩრდილოეთ ირლანდიაში მიმართავენ ინგლისის საოკუპაციო ჯარები.

„ირლანდიის კომპარტიამ თავის XV ყრილობაზე, ხაზგასმულია რეზოლუციაში, რომელიც ერთსულოვნად მოიწონეს დელეგატებმა, გადაწყვიტა დაუცხრომლად იღვწოდეს მშრომელი ხალხის ერთიანი ფრონტის შესაქმნელად, ეროვნულიოდაც შეუღლებელია ძირეულ ცვლილებათა მიღწევა ირლანდიის ცხოვრებაში“.

ყრილობამ ირლანდიელ კომუნისტებს დაუსახა კონკრეტული ამოცანები თავიანთი მიზნების მიღწევის გზაზე. ირლანდიის კომუნისტურმა პარტიამ გამოთქვა მტკიცე გადაწყვეტილება გააძლიეროს ბრძოლა ევროპის „საერთო ბაზარში“ შესვლის მთავრობისეული გეგმების წინააღმდეგ, რომლებიც საფრთხეს უქმნიან ირლანდიის სუვერენიტეტს და თვით ეროვნული ეკონომიკის არსებობას.

ირლანდიის კომუნისტური პარტია გამოიყენებს მკვიდრო კავშირს მუშათა მოძრაობასთან და მოქალაქეობრივი უფლებებისათვის მოძრაობასთან და უფრო აქტიურად მიიღებს მონაწილეობას ირლანდიის მშრომელთა ყველა გამოსვლაში დემოკრატიული უფლებებისათვის, უმუშევრობისა და სიიაფის წინააღმდეგ, პოლიტიკურ ბრძოლაში ჩაებამს მოსახლეობის სულ უფრო ფართო მასებს.

ირლანდიის კომპარტია, ნათქვამია ყრილობის გადაწყვეტილებებში, გამსჭვალულია ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით და ირლანდიელი ხალხის ბრძოლა მიაჩნია ეროვნული დამოუკიდებლობისათვის მძლავრი მსოფლიო მოძრაობის ნაწილად.

თავის ბრძოლაში ბრიტანეთის იმპერიალიზმის წინააღმდეგ ირლანდიელი ხალხი მარტო არ არის, განაცხადა ირლანდიის კომპარტიის ეროვნულმა მდივანმა მ. ო. რიორდანმა. ამას მოწმობენ სოლიდარობის მრავალრიცხოვანი წერილები, რომლებიც ყრილობამ მიიღო საზღვარგარეთიდან.

დელეგატები მჭუხარე ტაშით შეხვდნენ საბჭოთა კომუნისტების მისასალმებელ წერილს, რომელიც ყრილობაზე წაიკითხეს.

ᲞᲔᲜᲢᲐᲒᲝᲜᲘᲡ ᲐᲕᲑᲔᲓᲘᲗᲘ ᲒᲔᲒᲛᲔᲑᲘ

ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ, 18 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲘ. (ᲡᲐᲯᲔᲚᲘᲡᲘ). ამერიკის მხედრიონი ამუშავებს კამბოჯის ფარო მილიტარიზაციის გეგმებს. როგორც გაზეთი „ვაშინგტონ პოსტი“ იუწყება, ამერიკის შეერთებული შტატების შტაბების უფროსთა კომიტეტმა მოამზადა კამბოჯაში „გამარჯვების მოპოვების“ „ხუთწლიანი გეგმა“.

იმიწმებს რა კონგრესის წყაროებს, გაზეთი წერს, რომ ეს გეგმა „გაუამის დოქტრინის განხორციელების კლასიკური მაგალითია“, დოქტრინისა, რომელიც, როგორც ცნობილია, ითვალისწინებს ამერიკის იმპერიალიზმის მიზნების განხორციელებას ამერიკის შეერთებული შტატების „მოკავშირეთა“ ძალებით.

ამერიკელთა გეგმის „მთავარი ელემენტია“ ეგრეთ წოდებული „კონტრ-პარტიზანული“ ფაბა — კამბოჯის პატრიოტული ძალების წინააღმდეგ მასირებული საომარი მოქმედების გაფართოება. ამ ომის ძირითადი იარაღი უნდა გახდნენ ადგილობრივი ჯარები, რომლებიც მომზადებული არიან ამერიკელთა განსაკუთრებული დანშნულების ძალების — „მწვანე ბერეტიანების“ მსგავსად.

პენტაგონი ეარაუდობს გაადიდოს და ხელახლა შეიარაღოს კამბოჯის ახალგაზრდა რეგულარული არმია, რომელშიც 170 ათასი სამხედრო მოსამსახურეა. კერძოდ, დაგეგმილია 1972 წელს კამბოჯის არმიის რიცხვი გაადიდონ 220 ათას კაცამდე, ხოლო 1977 წლისათვის — 306 ათას კაცამდე.

გეგმა ითვალისწინებს აგრეთვე კამბოჯისათვის ეგრეთ წოდებული „დახმარების“ „დახმარების“ გადიდებას. ამჟამად ამ „დახმარების“ მოცულობა წელიწადში 264 მილიონ დოლარს შეადგენს. გეგმა ითვალისწინებს მოითხოვეს ეროვნისათვის იგი გაადიდონ 377 მილიონ დოლარამდე. ხოლო კიდევ ერთი წლის შემდეგ — 390 მილიონამდე.

პენტაგონი ჩანაფიქრით მნიშვნელოვნად უნდა გაძლიერდეს აგრეთვე ამერიკელთა სამხედრო ყოფნა კამბოჯაში. მაგრამ ახლა „სამხედრო სეპარატიზმის მიმტანი ჯგუფების“ აზრით, რომელიც ამ გადაწყვეტილებისათვის გვერდის ავლის მიზნით მოიგონეს, კამბოჯაში ამყოფება ამერიკელ სამხედრო მოსამსახურეთა დიდი ჯგუფი. პენტაგონი ეარაუდობს გაიაზედ 104 კაცამდე გაზარდოს მათი რიცხვი.

ᲒᲐᲜᲘᲮᲘᲚᲐᲕᲡ ᲐᲥᲢᲣᲐᲚᲣᲠ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲔᲑᲡ

18 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲘ (ᲡᲐᲯᲔᲚᲘᲡᲘ). დღეს სომალის დემოკრატიული რესპუბლიკის დედაქალაქში იხსნება აღმოსავლეთ და ცენტრალური აფრიკის სახელმწიფოთა მეთაურების მე-7 თათბირი, რომელიც განიხილავს განთავისუფლებული აფრიკის წინაშე დასახულ ბევრ აქტუალურ საკითხს, მათ შორის სავაჭრო ეკონომიური თანამშრომლობისა და კოლონიურ-რასისტული ბატონობისაგან კონტინენტის სრული განთავისუფლებისათვის ბრძოლის პრობლემებს.

ᲞᲝᲜᲢᲘ ᲡᲡ-ᲔᲚᲚᲔᲒᲘ ᲐᲥᲢᲘᲣᲠᲓᲔᲒᲘᲐᲜ

18 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲘ. (ᲡᲐᲯᲔᲚᲘᲡᲘ). ანტიფაშისტური და დემოკრატიული ორგანიზაციების, ნაციონალიზმ-დემოკრატიული ბანაკის ბრძოლის გაერთიანებების პროტესტების მიუხედავად ბავარიის პატარა ქალაქ როზენჰაიმში თავყრილობა მოაწყვეს სს-ელთა დივიზიის „რაიხის“ ყოფილმა ჯარისკაცებმა და ოფიცრებმა. ამ თავყრილობაზე შეიქმნა „სს-ელთა დივიზიის“ — „რაიხის“ მე-2 სატანკო დივიზიის ყოფილ ჯარისკაცთა საჯარისო ამხანაგობა“.

ამრიგად, მეორე მსოფლიო ომის დამთავრებიდან 25 წელზე მეტი ხნის შემდეგ შეიქმნა კიდევ ერთი მილიტარისტული ორგანიზაცია, რომლის ერთ-ერთი მიზანია შეინარჩუნოს სს-ელთა იმ დივიზიის „ტრადიციები“, რომელმაც 1944 წელს დაანგრია საფრანგეთის პატარა ქალაქი ორადური და გაანადგურა მისი მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი.

ადასტურებენ ამ ორგანიზაციის ლიდერები, ამ ორგანიზაციის ფუძემდებელ კონგრესზე, ამ ორგანიზაციის ფუძემდებელ კონგრესზე, ამ ორგანიზაციის ფუძემდებელ კონგრესზე

ლექსის ზეიმი მესხეთში

ასპინძა, 18 ოქტომბერი. („კომუნისტის“ სპეც. კორ.). როგორც დიდი სახალხო ზეიმი, ისე აღინიშნა გუშინ საქართველოს უძველეს კუთხეში ეროვნული პოეტური სიტყვის დღესასწაული „რუსთაველის დღე — პოეზიის დღე“. ქართული ლექსის ზეიმს მკვიდრი საფუძველი ამ ხუთი წლის წინათ — შოთა რუსთაველის დაბადების 800 წლისთავის საიუბილეო დღეებში ჩაეყარა. შემდეგ იგი საუკეთესო ტრადიციად დამკვიდრდა და ყოველწლიურად უფრო პოპულარული ხდება.

ზღვა ხალხმა მოიყარა გუშინ თავი ასპინძის რაიონის სოფელ რუსთავში შოთა რუსთაველის ძეგლთან. ისინი ჩამოვიდნენ მეზობელი რაიონებიდან, თბილისიდან, რესპუბლიკის სხვადასხვა კუთხიდან. მახპინძელთა შორის არიან საქართველოს კომპარტიის ასპინძის, ახალციხის ადგილების, ახალქალაქის რაიკომების პირველი მდივნები ლ. ისაკაძე, შ. გრძელიშვილი, ა. მექვაბიშვილი, ხ. პეტროსიანი, პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული მუშაკები, მესხეთის რაიონების მოწინავე ადამიანები. ზეიმზე მოვიდნენ რესპუბლიკის ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეები, მეცნიერების, პრესის წარმომადგენლები, მოსწავლე ახალგაზრდობა.

ქართული ლექსის ზეიმისადმი მიძღვნილი მიტინგი გახსნა პარტიის ასპინძის რაიკომის პირველმა მდივანმა ლ. ისაკაძემ და დაუსწრეთ წარუდგინა ზეიმზე ჩამოსული საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის პირველი მდივანი გრ. აბაშიძე, მწერალთა კავშირის მდივნები ბ. ჟღენტი, ნ. გურეშიძე, ჯ. ჩარკვიანი, მწერლები, პოეტები, კრიტიკოსები ა. გეწაძე, გ. გოგიჩაიშვილი, ალ. გომიაშვილი, ელ დიდიმამიშვილი, ნ. დუმბაძე, ჯ. თითმერია, კ. კალაძე, რ. მარგიანი, ლ. სულაბერიძე, ალ. ტაბატაძე, გ. ფანჯიკიძე, ნ. შამანაძე, ალ. შენგელია, ო. ჩხეიძე, ტ. ჭანტურია, ვ. ბელიძე... შემდეგ მან სიტყვა მისცა მასპინძლებს. ერთმანეთს ცვლის მასასალმებელი სიტყვა და ლექსი.

მიტინგზე გამოვიდნენ სოფელ რუსთავის, რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ე. მამუკელაშვილი, ახალციხის მშრომელთა სახელით ახალგაზრდა პოეტი ი. ნებაძე, ახალქალაქის მშრომელთა სახელით ქართული საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე მ. ნიკაბაძე, ადგილის მშრომელთა სახელით: ახასთუმნის სადგამო საბჭოს თავმჯდომარე მ. ჩერქეზიშვილი, ლექსები წაიკითხეს დ. ბერიძემ (ასპინძა), ახალქალაქის ქართული საშუალო სკოლის დირექტორმა ა. კარაპეტოვმა, ვ. სამსონიძემ (ახალციხე), პ. ოქრომელიძემ (ახალციხე, სოფ. შუახევი). მოსწავლეებმა ნ. ბერიძემ (ასპინძა), ლ. ბასილაიამ (ადიგენი,, სოფ ფდე). 70 წლის ჭობარეთელი (ასპინძის რაიონი) კოლმეურნე არჩილ ჯვარიძე, რომელმაც ზეპირად იცის „ვეფხისტყაოსანი“, კითხულობს ნაწყვეტებს პოემიდან...

სიტყვა ეძღვნა ქართველ მწერლებს, ტრიბუნაზე ერთმანეთს ცვლიან ალ. ტაბატაძე, ბ. ჟღენტი, ელ. დიდიმამიშვილი, ნ. შამანაძე, ტ. ჭანტურია, ა. გეწაძე, ლ. სულაბერიძე, ჯ. ჩარკვიანი, ვ. ბელიძე, რ. მარგიანი, ნ. გურეშიძე, ალ. გომიაშვილი, კ. კალაძე...

ლექსის ზეიმზე ჩამოსულ მწერლებსა და სხვა სტუმრებს მადლობის სიტყვით მიმართა ახალქალაქის რაიონის სოფ. ჩუნჩხის მკვიდრმა, ამჟამად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორმა ნ. ლომსაძემ.

დასასრულ მიტინგზე სიტყვით გამოვიდა საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის პირველი მდივანი გრ. აბაშიძე.

პოეზიის დღისადმი მიძღვნილი სახალხო ზეიმი ხოფელ რუსთავში გვიან საღამომდე გრძელდებოდა...

საღამოს ქართველი მწერლები მიეწვიენ მესხეთის სახელმწიფო თეატრში. აქ მათ ნახეს ო. ჩხეიძის ისტორიული ტრაგედია „ქეთევანი“, რომლის დამდგმელია თეატრის მთავარი რეჟისორი ნინა დემეტრაშვილი. მხატვრული გაფორმების ავტორია უ. იმერლიშვილი, მუსიკა ეკუთვნის ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს ა. ჩიბაკაძეს.



კვლავ ა. მეტრეველი და ო. მოროზოვა

ჩემპიონთა ტრიუმფი

დიდი ჩოგბურთის დღეების მოწმენი ვიყავით თბილისში, ვნახეთ არაერთი გადამწყვეტი ასპარეზობა, მრავალმხრივი, შეუპოვარი და მიმზიდველი სპორტული დავა. დიახ, ჩვენი ქვეყნის პირად-გუნდური პირველობა ჩოგბურთში ამოიწურა, ახალმა ჩემპიონებმა ალამი დაუშვეს.

რა თქმა უნდა, არსებითი მაინც ასპარეზობათა დასკვნითი ეტაპი, სპრინტი ადგილებისათვის ბრძოლა იყო. ეს კი შაბათსა და კვირას მოხდა. თუ რა ხდებოდა კვირას „დინამოს“ ცენტრალური კორტის ირგვლივ, ამის აღწერა ძნელია. ერთი რამ ცხადია, რომ ჩვენი ქვეყნის თითქმის უკვლელი ჩემპიონის, ეფრთის უძლიერესი ჩოგბურთელისა და მსოფლიოს მასშტაბის დიდ ტურნირებში აღიარებული სპორტსმენის ალექსანდრე მეტრეველის სამშობლოში, კერძოდ, თბილისში დროა გვქონდეს ისეთი ღია და დახურული კორტები, რომლებიც უზრუნველყოფდა სპორტის მოყვარულთა გაზრდილ მოთხოვნილებას. ვთქვათ, ისეთ ასპარეზობებში, როგორც საკავშირო ჩემპიონატია.

რა მოხდა თვით კორტებზე? განსაკუთრებულ ინტერესს იწვევდა ჩვენი თანამემამულის ა. მეტრეველისა და სსრ კავშირის ექს-ჩემპიონის სპორტის დამსახურებული ოსტატის ტალინელი თ. ლეიუსის ორთაბრძოლა. ეს ჩოგბურთელები ძველი მეტოქეები არიან და კარგად იცნობენ ერთმანეთს. ბრძოლით დასაწყისიდანვე ცხადი გახდა, რომ ა. მეტრეველი უფრო მაღალ საფეხურზე დგას როგორც ტექნიკით, ისე ფიზიკური მომზადებითაც, ვიდრე მოწინააღმდეგე. ეს უპირატესობა ანგარიშშიც აისახა, ა. მეტრეველმა გაიმარჯვა 6:2, 6:1, 6:3 და მეტუთეჯერ მოიპოვა ჩვენი ქვეყნის ჩემპიონის წოდება.

უფრო ადრე კი კორტზე ვხედავდით ქალთა ერთეულების ფინალისტებს — სსრ კავშირისა და ევროპის ჩემპიონს მოსკოველ ო. მოროზოვასა და ჩვენი ქვეყნის ექს-ჩემპიონს კიეველ ჯ. ბაშეევას. აქაც ბრძოლა ჩემპიონის უპირატესობით დამთავრდა 6:2, 6:2, ეს ო. მოროზოვას რიგითი მესამე ჩემპიონობა იყო.

ვაჟთა ერთეულების დასკვნითი ასპარეზობას შემდეგ მოეფანენ ჭერეული წყვილები ო. მოროზოვა-ა. მეტრეველი და ბაქოელთა ფუტი — ჯ. ბირიუკოვა-ს. ლიხაჩოვი, დასაწყისი ჩემპიონთა წყვილს კარგს არაფერს უქადდა, ხშირად სცოდავდა ო. მოროზოვა, მაგრამ თანდათანობით მათ შეძლეს წონასწორობის აღდგენა, შემდეგ ხალთ იკდეს ინიციატივა და გაიმარჯვეს 7:5, 8:6.

წინადღით შედგა ორი ფინალური შეხვედრა. ქალთა წყვილებში წარმატება ხვდათ მოსკოველ ო. მოროზოვასა და რიგელ ზ. იასონოვს. მათ დაამარცხეს ლენინგრადელი ა. ერემეევა და მოსკოველი ა. დმიტრიევა 3:6, 6:3, 6:1. ვაჟთა წყვილებში, როგორც მოსალოდნელი იყო, გაიმარჯვეს ა. მეტრეველმა და ს. ლიხაჩოვმა. მათ მოუგეს ლეიუსსა და ლამპს 6:2, 6:3, 6:4.

ამრიგად, ჩემპიონებმა ჩემპიონობა შეინარჩუნეს. ო. მოროზოვამ და ა. მეტრეველმა ყველა ოქროს მედალი მოიპოვეს. ერთეულთა შორის წარმატებით გამოვიდა ჩვენი რესპუბლიკის კიეველ ერთი წარმომადგენელი თ. კაკულია. მან ბრინჯაოს მედალი დაიმსახურა და სპეციალური ჯილდო მოიპოვა აქტიური თამაშისათვის. ბრინჯაოს მედალი მოიპოვა ავრეთვე თბილისელმა ა. ივანოვამ წყვილთა შორის.

ვენდურ ჩათვლაში წარმატება მოსკოველებს ხვდათ. საქართველოს გუნდი მეოთხე იყო.

დასასრულ მოეწყო ვამარჯვებულთა დაჯილდოება.

• • •

სურათებზე: სსრ კავშირის ჩემპიონები ჩოგბურთში ა. მეტრეველი (მარცხნივ) და ო. მოროზოვა (მარჯვნივ) თამაშის დროს.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

ოვაციის სავონს

ლენინგრადი. („კომუნისტის“ კორ.). ვაჟთა საკავშირო საჭადრაკო ჩემპიონატის ბოლო — ოცდამეერთე ტურში ვ. სავონი, რომელსაც უკვე განაღდებული ჰქონდა ოქროს მედალი, ყიმზე შეუთანხმდა ვ. ტუკმაკოვს. ამრიგად, მან შეჯიბრება დაამთავრა ბრწყინვალე შედეგით — 15 ქულით 21 შესაძლებლიდან და ერთნახევარი ქულით გაუსწრო უახლოეს მეტოქეებს.

თავიანთი დიდი ძალა ერთხელ კიდევ ვვიჩვენეთ ორმა ვეტერანმა—მსოფლიოს ექს-ჩემპიონებმა ვ. სმისლოვმა და მ. ტალმა, რომლებმაც 13,5-13,5 ქულა შეაგროვეს და მეორე-მესამე ადგილები დაიკავეს.

მოკლედ...

● **სოჩში** მოპაჭადრაკე ქალთა საკავშირო ჩემპიონატზე ათი ტურის შემდეგ მოეწყო გადადებული პარტიების დამთავრება. საერთაშორისო ოსტატმა ზატულოვსკაიამ მოუგო კაკაბაძეს, კოზლოვსკაიამ — ფომინას. რუბცოვა-სკეგინას პარტიაში მეტოქეები ყიმზე შეთანხმდნენ.

ათი ტურის შემდეგ ჩემპიონატს ორი ლიდერი ჰყავს. ესენი არიან ლევიტინა და კოზლოვსკაია, რომლებსაც რვა-რვა ქულა აქვთ.

● **კვირას** მოსკოვში საკავშირო პირველობაზე ფეხბურთში „სპარტაკმა“ დაამარცხა ტაშკენტის „პახტაკორი“ (2:0).

ШОТА РАМАНАДЗЕ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მოულოდნელად გარდაიცვალა ქართული სპორტის სახელოვანი წარმომადგენელი, სპორტის დამსახურებული ოსტატი, ცნობილი ქართველი ფეხბურთელი, წლების მანძილზე თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელთა გუნდის კაპიტანი, ინჟინერ - მშენებელი, საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს კრწანისის სამშენებლო სამმართველოს უფროსი

შოთა დავითის-ძე იამანიძე.

შუწყდა მჭეფარე სიცოცხლე შესანიშნავი ადამიანისა, იგი ჯერ ოცდათოთხმეტი წლისაც კი არ იყო და უკვე მოხვეჭილი ჰქონდა საყოველთაო სიყვარული და ავტორიტეტი.

შ. იამანიძემ მოკლე, მაგრამ უაღრესად შინაარსიანი და საინტერესო ცხოვრების გზა განვლო.

1955 წელს საშუალო სკოლის ოქროს მედლით დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, დაამთავრა სამშენებლო ფაკულტეტი და ინჟინერ-მშენებელი გახდა.

შოთა იამანიძემ თავისი ცხოვრება სპორტის ყველაზე პოპულარულ სახეობას — ფეხბურთს დაუკავშირა ჯერ კიდევ ბავშვობის წლებიდან, როცა იგი თბილისის 35-ე საშუალო სკოლის მოსწავლე იყო. 1954 წლიდან კი უკვე თბილისის „დინამოს“ ოსტატ ფეხბურთელთა გუნდში თამაშობდა და წლების მანძილზე მისი კაპიტანი იყო.

შოთა იამანიძე თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელთა გუნდის კაპიტანი იყო 1964 წელსაც, როცა გუნდი საბჭოთა კავშირის ჩემპიონი გახდა.

იგი ყოველმხრივ სამაგალითო სპორტსმენი იყო: თავმდაბალი, ზრდილობიანი, თავაზიანი, საქმიელი და ამავე დროს ენერგიული. ... ...